ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 245

"16" აგვისტო 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.019) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გეორგიოს ყავასთვის" (ს/ნ: 402072047) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.019) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გეორგიოს ყავასთვის" (ს/კ 402072047) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ივლისის №19.776.1008 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.019) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გეორგიოს ყავასთვის" (ს/ნ: 402072047) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**